# ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№14

ქ. აბაშა 6 დეკემბერი 2011 წელი

1. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 6 დეკემბერი.

ერთის მხრივ აბაშის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებასა, (შემდგომში „შემსყიდველი")
მისამართი: ქ. აბაშა, უ. კაჭარავას ქ. № 2;
ანგ. №GE57LB0115150854046000, საიდენტიფიკაციო კოდი 222450121,
ლიბერთი ბანკის აბაშის ფილიალი, ბანკის კოდი LBRTGE22
და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „კახაბერ ჯიბლაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი")
საიდენტიფიკაციო კოდი: 122244970
ანგ. №36081268
ბ/ანგ. 220101473
შორის და მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტისა და კლასიფიკატორის კოდის დასახელება

- 39700000 – საოჯახო ტექნიკა
- 38500000 – საკონტროლო და გამოსაცდელი აპარატურა
- 31300000 – იზოლირებული მავთულები და კაბელი
- 44800000 – საღებავები, ლაქები და მასტიკები
- 39200000 - ავეჯეულობა

„მიმწოდებელი" მიაწვდის „შემსყიდველს" სხვადასხვა სახის საქონელი.

| № | საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | საერთო ღირებულება | მიწოდების ვადა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ელექტრო ღუმელი | ც | 1 | 130 | 2011წელი | ქ. აბაშა უ. კაჭარავას №2 |
| 2 | გაზის ბალონი | ც | 2 | 150 | | |
| 3 | ენერგო მრიცხველი | " | 1 | 150 | | |
| 4 | საღებავი | " | 3 | 40 | | |
| 5 | კაბელი | მ | 25 | 40 | | |
| 6 | აქანდაზი | ც | 15 | 20 | | |
| 7 | ცოცხი | ც | 10 | 50 | | |
| 8 | ვედრო | ც | 10 | 30 | | |
| 9 | საჭმლის ამოსაღები კოვზები | ც | 5 | 20 | | |
| | ჯამი: | " | | 630 | | |

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება (ფასი)

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 600 (ექვსასი) ლარს.

4. საქონლის ხარისხი, სტანდარტებთან შესაბამისობა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მისთვის დადგენილ ნორმებს და მოქმედ სტანდარტებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ 2011 25 დეკემბრამდე

- მიწოდების ადგილი ქ. აბაშა უ. კაჭარავას №2.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიწოდება დასრულებლად ჩაითვლება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან. დოკუმენტის ჩამონათვალი რომელთა საფუძველზეც მოხდება შესყიდვის ობიექტის ჩაბარება;

- სასაქონლო ზედნადები

მიღება-ჩაბარების პროცესში მონაწილე მხარეები:

- „შემსყიდველის" მხრიდან: ინსპექტირების ჯგუფი
- „მიმწოდებლის" მხრიდან: ინდ. მეწარმე „კახაბერ ჯიბლაძე"

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

- ანგარიშწორებისათვის მიმწოდებელმა უდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტი:
  სასაქონლო ზედნადები
- მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
- ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
- ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების შემდეგ.
- ანგარისწორების ადგილია – ქ. აბაშა

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

„შემსყიდველს" უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებელი" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

„შემსყიდველი" ვალდებულია „მიმწოდებელ"-ს მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ განხორციელოს ანგარიშსწორება.

„მიმწოდებელი" ვალდებულია:

- მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების ჯგუფის) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 10 დღით ადრე.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს შემსრულებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

9.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელ"-ს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9.5 ფორსმაჟორული პირობების გარდა, „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხველო ხელშეკრულების ღირებულების <u>0.1 %</u> ოდენობით.

შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების 1% პროცენტს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შენთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მეორე მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოკიდებული იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

## 11. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა

- ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები
- თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რომელიმე მხარე (გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო) მოითხოვს ხელშეკრულების პირობების შეცვლას ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

- თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი.
- თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 30 დეკემბრამდე

## 14. დავის გადაწყვეტის წესი

შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

- შემსყიდველს ან ინსპექტირების ჯგუფს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

- მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შესყიდვები კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის სამუშაო პირობებით.
- შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლი და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებლისას" ანგარიშსწორებით პროცესის რეგულირება.

ყველა ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღეს და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად ( 5 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

---

„შემსყიდველი"

დ. ელიაძე

ხელის მოწერა და ბეჭედი ______________________________ დ. ელიაძე

(შემსყიდველის სახელი, გვარი)

„მიმწოდებელი"

ხელის მოწერა და ბეჭედი ______________________________ ა. ჯიქლაძე

(მიმწოდებლის სახელი, გვარი)

თანხმობა ვართ: /თ. კილაძე/

/ნ. ქოიავა/

/მ. ჭაქვაძე/